დეკანოზი ნიკოლოზ ბალაშოვი: მოსკოვის საპატრიარქო მხარს უჭერს იერუსალიმის ეკლესიის განზრახვას, ხელი შეუწყოს მსოფლიო მართლმადიდებელ ოჯახში არსებული პრობლემების კრებსით განხილვას

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 02.10.2023. *მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მრჩეველმა, დეკანოზმა ნიკოლოზ ბალაშოვმა* ***კომენტარი*** *გააკეთა იერუსალიმის წმინდა ქალაქისა და სრულიად პალესტინის პატრიარქის უნეტარესი თეოფილე III-ის ბოლო ინიციატივებზე, რომელმაც მზადყოფნა გამოთქვა, წვლილი შეიტანოს უკრაინაში მშვიდობის მიღწევაში და მსოფლიო მართლმადიდებლობაში არსებული შიდა პრობლემების ერთობლივ, კრებსით განხილვაში.*

ცოტა ხნის წინ რომში, იერუსალიმის პატრიარქმა თეოფილემ **გამოაცხადა იერუსალიმის ეკლესიის მზადყოფნა,** გამოვიდეს საშუამავლო მისიით, რომელიც მიზნად ისახავს უკრაინაში სამხედრო დაპირისპირების დაძლევას და მოლაპარაკებების გზით მშვიდობის მიღწევას, ასევე, დიალოგის გაგრძელებას, რომელმაც თავიდან უნდა ააცილოს „სქიზმის საფრთხე მართლმადიდებელი ეკლესიის სხეულს“. პატრიარქმა ბრძანა, რომ აპირებს ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ „მართლმადიდებელ ოჯახში ურთიერთობა განიკურნოს“.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია მიესალმება ნებისმიერ საშუამავლო ძალისხმევას, რომელიც მიმართული იქნება დიალოგის განვითარებისა და უკრაინაში სამართლიანი მშვიდობის დამყარებისაკენ. მით უმეტეს დიდი პატივისცემით ვუდგებით მსგავს ინიციატივებს, როდესაც ისინი მოდის წმინდა ქალაქ იერუსალიმის პატრიარქისგან, უძველესი ეკლესიის წინამძღვრისგან, – ეკლესიისა, რომელიც ყველა ქრისტიანული ეკლესიის დედაა.

მოსკოვის საპატრიარქო ასევე მხარს უჭერს იერუსალიმის ეკლესიის განზრახვას, ხელი შეუწყოს მსოფლიო მართლმადიდებელ ოჯახში არსებული პრობლემების კრებსითად გადაწყვეტას. ეკლესიის ისტორიის მანძილზე ასეთი დისკუსიის უზრუნველყოფაში მთავარი როლი არაერთხელ შეუსრულებია იერუსალიმს. ჩვენ ამანის შეხვედრაც გვახსოვს, რომელიც პატრიარქ თეოფილეს ინიციატივით გაიმართა 2020 წელს, და რომელსაც ესწრებოდნენ რიგი ადგილობრივი ეკლესიის წინამძღვრები და წარმომადგენლები. ის შეკრება მნიშვნელოვანი ნაბიჯი აღმოჩნდა მართლმადიდებელთაშორისი ურთიერთობების სფეროში, და ეს ნაბიჯი გაგრძელებას საჭიროებს. ეკლესიებს შორის დიალოგის მნიშვნელობა ძნელია გადაჭარბებით შეაფასო, მიუხედავად იმისა, რომ მისი განხორციელება მრავალ სიძნელეს აწყდება, ხოლო ზოგიერთი ეკლესიის წინამძღვარი წინასწარ პრინციპულ უარს აცხადებს საკუთარი გადაწყვეტილების კრებსითად განხილვაზე.

ჩვენ მაღალ შეფასებას ვაძლევთ იერუსალიმის პატრიარქის ღვაწლს წმინდა მიწაზე და მთლიანად ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანობის შენარჩუნების, დაცვისა და განმტკიცების საქმეში. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია შემდგომშიც ყველანაირად დაუჭერს მხარს ამ გაბედულ ძალისხმევას, რომელიც ღრმა გამოძახილს პოულობს ჩვენს თანამემამულეთა გულებში, რომლებიც სიყვარულითა და კრალვით მიაგებენ პატივს უფლის საფლავსა და სხვა საერთო ქრისტიანულ სიწმინდეებს, რომელთა მცველადაც დღეს იერუსალიმის პატრიარქი გვევლინება.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90835/